ოქმი N9

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2019 წლის 30 აგვისტო

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 12

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 11

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. ვლადიმერ ქანთარია
4. დავით ბერაია
5. თეა გელანტია
6. დოდო გაბუნია
7. თენგიზ აბაკელია
8. მერაბ ფილიპია
9. თემური გულუა
10. კახა ლატარია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელის ვ. გაბედავას 2019 წლის 6 აგვისტოს N09/2688 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N2 საჯარო სკოლის დირექტორის ი. გოგოლაძის 2019 წლის 8 აგვისტოს N MES619010227403 და 14 აგვისტოს N MES91901044876 წერილებისა და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის დ. ბერაიას 2019 წლის 27 აგვისტოს N70/01 განცხადების განხილვა („სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N2 საჯარო სკოლისთვის ილია ქვარცხავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2019 წლის 15 აგვისტოს N03/2830 და ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 2019 წლის 26 აგვისტოს N03/3021 წერილების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ივლისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

4. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2019 წლის 17 აგვისტოს N06/2876 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე რკინიგზის გადასასვლელებთან საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე);

5. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელის ვ. გაბედავას 2019 წლის 26 აგვისტოს N04/3009 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: მ. ქარდავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე);

6. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელის ვ. გაბედავას 2019 წლის 27 აგვისტოს N05/3034 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) და დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარით) აუქციონის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელის ვ. გაბედავას 2019 წლის 6 აგვისტოს N09/2688 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: დ. გაბუნია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის N35 განკარგულებით უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა რაოდენობა განსაზღვრულია 120 ბენეფიციარით. ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით და ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის თანახმად, ამ მომსახურებისათვის სოციალური დახმარება (კვება) გათვალისწინებულია 135 ბენეფიციარზე, კვების მომსახურების მიღებისთვის დიდი მომართვიანობიდან გამომდინარე, მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მიზანშეწონილად ჩაითვალა ბენეფიციართა რაოდენობა განისაზღვროს ხობის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, თუმცა კომისიას მიაჩნია, რომ უპრიანი იქნებოდა ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2019 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცებისთანავე განხორციელებულიყო წარმოდგენილი ცვლილება ბენეფიციართა შერჩევის წესში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

2. სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N2 საჯარო სკოლის დირექტორის ი. გოგოლაძის 2019 წლის 8 აგვისტოს N MES619010227403 და 14 აგვისტოს N MES91901044876 წერილებისა და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის დ. ბერაიას 2019 წლის 27 აგვისტოს N70/01 განცხადების განხილვა („სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N2 საჯარო სკოლისთვის ილია ქვარცხავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N2 საჯარო სკოლისთვის ილია ქვარცხავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე" და კომისიის დასკვნა, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N2 საჯარო სკოლის დირექტორის მიერ საკრებულოში წარმოდგენილ იქნა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სადაც განხილულია სოფლის მკვიდრის არველოდი ნანეიშვილის ინიციატივა სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N2 საჯარო სკოლისთვის პროფესორის, დიდი მეცნიერის ილია ქვარცხავას სახელის მინიჭების შესახებ. სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული წინადადება სკოლისთვის ილია ქვარცხავას სახელის მინიჭების თაობაზე. „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების თანახმად, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება განხილულ იქნა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ და მომზადდა განკარგულების პროექტი „სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საჯიჯაოს N2 საჯარო სკოლისთვის ილია ქვარცხავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე". საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით სახელდებასთან დაკავშირებული ინიციატივა, სამეურვეო საბჭოს ოქმი და საკრებულოს განკარგულება სამეურვეო საბჭოს მიერ წარედგინება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის

სამინისტროს. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2019 წლის 15 აგვისტოს N03/2830 და ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 2019 წლის 26 აგვისტოს N03/3021 წერილების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ივლისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: დ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: დ. ბერაია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ივლისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით გათვალისწინებულია ცვლილებები „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ივლისის N8 დადგენილებაში, რაც განპირობებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2019 წლის 5 აგვისტოს GOV 71900031007 წერილში ასახული შენიშვნებით. ცვლილებები ძირითადად ეხება მოხელის არყოფნის შემთხვევაში მისი ფუნქციების სხვა მოხელეზე

დაკისრების პროცედურებს. ამავე დადგენილების პროექტით „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ივლისის N8 დადგენილებაში ასევე დამატებით იქნა გათვალისწინებული კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება და „სამხედრო ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის სათაურის და სარეზერვო სამსახურის დასახელებების ფორმულირების ცვლილების გამო ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების მე-13 მუხლის მე-7 პუნქტი და მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტი და მე-2 მუხლი ყალიბდება ახალი საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

4. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2019 წლის 17 აგვისტოს N06/2876 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე რკინიგზის გადასასვლელებთან საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე რკინიგზის გადასასვლელებთან საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით სს „საქართველოს რკინიგზის“ ბალანსზე არსებული სარკინიგზო გადასასვლელების კომისიური დათვალიერებისას აღმოჩენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მათი წესრიგში მოყვანის მიზნით, რკინიგზის გადასასვლელებთან საგზაო ნიშნების განთავსების თაობაზე. მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ ზემო აღნიშნულის გათავლისწინებით მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე რკინიგზის გადასასვლელებთან საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“, რომლის თანახმადაც, საგზაო ნიშნები განთავსდება: ა) ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში რკინიგზის გადასასვლელთან ერთ მხარეს (რუსთაველის ქუჩიდან-მშვიდობის ქუჩის მიმართულებით) დამონტაჟდება საგზაო ნიშანი 1.2 „რკინიგზის უშლაგბაუმო გადასასვლელი“. ბ) ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში რკინიგზის გადასასვლელთან ერთ მხარეს (რუსთაველის ქუჩიდან-თენგიზ ქაჯაიას ქუჩის მიმართულებით) დამონტაჟდება საგზაო ნიშანი 1.2 „რკინიგზის უშლაგბაუმო გადასასვლელი“. გ) პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში რკინიგზის გადასასვლელთან ორივე მხარეს დამონტაჟდება საგზაო ნიშანი 1.2 „რკინიგზის უშლაგბაუმო გადასასვლელი“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისარებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, კუთვნილ შვებულებაში ყოფნის გამო მე-5 საკითხს წარმოადგენდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ქარდავა.

5. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელის ვ. გაბედავას 2019 წლის 26 აგვისტოს N04/3009 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: მ. ქარდავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე)

მოისმინეს: მ. ქარდავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები 116,2 და 600,0 ათასი ლარით მუხლიდან „გრანტები" (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) და მიიმართა პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდის" ასიგნებაზე. აქედან: 116,2 ათასი ლარით გადიდდა ქვეპროგრამა „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია" ასიგნება; 600,0 ათასი ლარით - ქვეპროგრამა "გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა" ასიგნება. ასევე იზრდება შემოსავლები 730,7 ათასი ლარით „გრანტებიდან" (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) და შემოსავლების ზრდის თანხების მთლიანი მოცულობა მიიმართა პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდის" ასიგნებაზე. აქედან: 372,0 ათასი ლარი - ქვეპროგრამის „სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია" ასიგნებაზე, 269,0 ათასი ლარი - პროგრამის „სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია" ასიგნებაზე. 144,4 ათასი ლარით იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები მუხლიდან „ჯარიმები, სანქციები და საურავები". მცირდება ბიუჯეტის ხარჯები 95,0 ათასი ლარით, კერძოდ: 15,0 ათასი ლარით მცირდება

პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" ასიგნებები და 80,0 ათასი ლარით - პრიორიტეტის „განათლება" ასიგნებები. შემცირდა შემოსავლები გრანტებიდან 20927,0 ლარით (შემცირდა პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის" ასიგნებები). შემოსავლების ზრდის 144,4 ათასი ლარი და გამოთავისუფლებული 95,0 ათასი ლარი, სულ 239,4 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის ,,წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება" ასიგნებაზე 10,0 ათასი ლარი; პრიორიტეტის ,,თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება" ასიგნებაზე 2,0 ათასი ლარი; პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია" ასიგნებაზე 227,4 ათასი. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N68 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა გაიზარდა 1570.4 ათასი ლარით და შეადგინა 16338.3 ათასი ლარი. გამომსვლელის განცხადებით, კომისიამ განიხილა „ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტი. პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია და კომისიას მიზანშეწონილად თვლის პროექტის წარმოდგენილის სახით გატანას საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

6. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელის ვ. გაბედავას 2019 წლის 27 აგვისტოს N05/3034 წერილის განხილვა (,,ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) და დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარით) აუქციონის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) და დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარით) აუქციონის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის განმარტებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) და დამატებითი ქონებები, რომელიც მდებარეობს ქ. ხობში, ცოტნე დადიანის ქ. N185-ში და N202-ში, არის დაუტვირთავი, შენობებში არის გამონთავისუფლებული 6.6 და 21 კვ. მეტრი ფართი. მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია განცხადებები აღნიშნულ შენობებში არსებული 6,6 და 21 კვ. მეტრი ფართის გაიჯარებასთან დაკავშირებით. სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოთ აღნიშნული ფართები, ასევე თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი (65169 კვ. მეტრი) გაცემულ იქნას სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით), აუქციონის წესით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი ს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა